# ქართლის დარბაზი

გიორგი ჩუბინაშვილის რედაქციით



ვ. დარბაზი: ყარაღაჯისა: ფ: ნადარბაზევში

ტფილისი
საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამოცემა
საქ. სამხ. აკადემიის ფოტოგრაფ. სახელოსნო
1927

# ქართლის დარბაზი

# DER GEORGISCHE HAUSBAU


გიორგი ჩუბინაშვილის
რედაქციით

HERAUSGEGEBEN VON
GEORG TSCHUBINASCWILI



ტფილისი
საქართველოს სამხატვრო აკადემიის გამოცემა
1927

# 3. დარბაზი ქარაღაჯსა და ნადარბაზევში

# 3. BAUERNHÄUSER IN KARAGADSCHI UND NADARBASEWI


სურათები და ნახაზები

ნიკ. სევეროვის და იოსებ შარლემანისა

ZEICHNUNGEN UND RISSE VON

N. SEVEROV UND I. CHARLEMAGNE



ტფილისი

სახ. სამხ. აკადემიის ლითოგრაფ. სახელოსნო

1927



ამ მესამე რვეულში «ქართლის დარბაზი»-სა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს გლეხთა სახლის ხუროთმოძღვრული ფორმისადმი მიძღვნილია, ერთად არის მოთავსებული მასალა აღებული რამდენიმე ერთმანეთთან ახლო-ახლო, მტკვრის პირას მდებარე სოფლიდან. ამ შეერთებული მასალიდან შეგიძლიანთ თვალნათლად დაინახოთ „დარბაზის“ ტიპის სახეთა ცვლილების მრავალნაირობა და განსხვავება მუშაობის თვისებასა და ოსტატობაში. ყველა ეს მაგალითები წარმოადგენენ დარბაზის მარტივ, ერთოთახიან ტიპს და ნაწილობრივ, როგორც ახალქალაქისას, აღარ შეუნარჩუნებიათ ცენტრალური ჰერი.

პირველი ორი ტაბულა ცენტრალურ ნაწილში „გვირგვინის“ მხრივ იძლევა უფრო გართულებულს, დამუშავებულ სახეს, ვიდრე დიღმის ან ერთაწმინდის დარბაზები. აქ ძირითადი კვადრატის ზემოთ მომდევნო რიგში შექმნილია რვაწახნაგოვანი, ხოლო მის ზემოთ თანდათან, რამდენიც ზემოთკენ მიდის, უფრო და უფრო ვიწრო თორმეტწახნაგოვანებია აგებული 37 რიგად. ე. ი. აქ ორჯელ უფრო მეტად გადიდებულია გვირგვინში რიგთა რიცხვი; გვირგვინს მაღლა აქვს აწეული თავი როგორც შიგნიდან, ისე გარედან, რაც ჩანს ტექსტში მოთავსებული ორი სურათიდან. როგორც დიდი სიყვარულით იყო დამუშავებული და ამოყვანილი გვირგვინი, ისე უკანა კედელიც და თაროები განსხვავდება თავის ზედა და ქვედა ნაწილების მო-

Das vorliegende dritte Heft umfasst eine Stoffsammlung aus mehreren Dörfern Ost-Georgiens, die nahe bei einander an beiden Ufern des Flusses Kura gelegen weitere Beispiele der Darbasi-Form aufweisen. Man kann hier leicht die Mannigfaltigkeit der Unterarten dieser Bauform und die Qualität der Ausführung leicht verfolgen. Sämtliche jetzt vorgelegte Beispiele repräsentieren den einfachen Typ aus einem Zimmer und haben zum Teil, wie das aus Achalkalaki, die zentrale Deckung neu gestaltet.

Tafel I und II dargestellter Darbasi zeigt in der Form des Kranzes («gwirgwini») eine noch kompliziertere, als in Dihomi oder Erthazminda, Gestalt. Über dem Grundquadrat bildet die erste Reihe ein Achteck, und die nächsten immer enger werdend Zwölfeck in 37 Lagen. Es ist somit die Zahl der Kranzlagen mehr als doppelt so gross geworden, wodurch der Kranz stark in die Höhe entwickelt erscheint, sowohl im Innen-, als auch im Aussenanblicke, den die beiden Textzeichnungen zeigen. Nicht nur der Kranz der Deckung war liebevoll entworfen und ausgeführt, sondern auch die hintere Wand mit den Nischenfächern, die ein entwickeltes System und freies Behandeln der oberen und unteren Partie, wie auch der einzelnen Nischen darstellt. Schliesslich muss auch der Schnitzerei besonders gedacht werden, die eine andere

რთულობის განვითარებული სისტემით და ვარიანტებით და აგრეთვე ცალკე წალოების მოკაზმულობით. დასასრულ, აქ ჩუქურთმასაც სხვა მიდგომა აქვს - გლუ ზედაპირი არ არის გავსებული ხალიჩისებურ ორნამენტით, მხოლოდ აქცენტი აქვს დადებული ბოძების და თავხეების წიბოებს, სადაც მტკიცე ოსტატობით მხატვრული ფორმა აქვს მიცემული ხის მასივს.

ტაბულა III იძლევა ამავე ხასიათის ჩუქურთმის დეტალებს მეზობელ სოფელ ახალქალაქის ერთ დარბაზისას. ვადარებთ რა ამ ორ ბოძს ერთმანერთს და სოფ. ერთაწმინდის ძველი დარპაზის ბოძს (რვეული 2, ტაბულა VI), თვალნათლივ ვხედავთ, როგორ დარწმუნებით და თავისუფლად ნაირ-ნაირად სცვლის თავის ხერხს ოსტატი. ტაბულა IV იძლევა იმავე ახალქალაქის დარბაზის სურათს მის ეხლანდელი სანახაობით, ე. ი. გვიჩვენებს, რომ მისი ძველი გვირგვინი გადაკეთებულია უბრალო პრტყელ ბანად.

ტაბულები V და VI გვიჩვენებენ ნიკო ბოგველის დარბაზის გარეგან სანახაობას სოფელ მეტეხის ძველი ტაძრის ფონზე და შემდეგ მის შინაგან სანახაობას. ეს დარბაზი სოფ. მეტეხში თავის ჭერის ფორმებით და აგრეთვე ჩუქურთმის ხასიათითა და სახით უახლოვდება დიღმისა და მცხეთის დარბაზებს. თავისებურია ბოძის ჩუქურთმა, მისი სახე და აგრეთვე დარბაზის კედლის წალოების ფორმებიც, რომლებიც განსხვავდებიან ახალქალაქის დარბაზის სპარსეთის გემოსკენ გადახრილ ფორმებისგან.

დასასრულ, უკანასკნელ ორ ტაბულას გადავყევართ მტკვრის მარცხენა ნაპირას მიყრუებულ ადგილას მდებარე სოფ. ნადარბაზევში. აქ, იქაურების სიტყვით, ჯერ კიდევ 4-5 წლის წინად იყო ათზე მეტი დარბაზი, ხოლო, როდესაც ჩვენ დავათვალიერეთ ეს სოფელი 1925 წლის ოქტომბერში, დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი, რადგან მისი პატრონი ძლიერ ღარიბია და არ შეუძლიან მისი გადაკეთებაო, აგვიხსნეს სოფლელებმა. გვირგვინის ტიპი ასეთია, როგორც დიღმის დარბაზებში, ხოლო ჩუქურთმა მდარეა და არ არის შეერთებული ერთ კომპოზიციაში, არამედ გაბნეულია ცალკე ელემენტებად; იგი მაინც და მაინც ვერც ბრწინვალედაა შესრულებული. შენობაში საინტერესოა კედლების განსხვავებული გამართულობა: ისინი უბრალოდ მიწაშია ამოთხრილი და მსუბუქადაა გალესილი თიხით, ხოლო ჭერი დაყრდნობილია ტლანქ, კოპიტ ბოძებზე, რომლებიც ჩარიგებულია კედლების პირზე და რომლებიც იმაგრებენ ნაპირა კოჭებს. ამასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, აქ არა ვხედავთ წალო თაროების ამა თუ იმ სისტემას, მათ სულ შემთხვევითი ხასიათი აქვთ. აქ, ყრუ ადგილას, შენახულია კერის ძველებური განსხვავებული გამართულობა, რომელიც სრულადაა შენახული ერთ-ერთ უახლოეს სოფელში, სახელდობრ ნიგოზაში. აქ კერას, რომელსაც მრგვალად მიწაზე აქვს შემოწყობილი ქვები, შესავლის მხრიდან უდგა ორი მაღალი ქვა, რომლებსაც კერის შუაგულში უჭირავთ შეშის გრძელი მორები და შტოები ცეცხლმოკიდებული ბო-

Kunstart zu Tage führt — die glatten Flächen sind nicht mit breiten Ornamentmustern bedeckt, sondern es werden nur leise Akzente an den Kanten der Holzpfeiler und der Sattelhölzer geschnitzt, wodurch die Holzmassive eine geformte Bildung in künstlerisch bewusster Weise erlangen.

Einzelheiten des Kerbschnittes genannter Art aus einem Darbasi des benachbarten Dorfes Achalkalaki gibt Tafel III. Vergleicht man diese Pfeilerausstattung und die aus dem älteren Darbasi in Erthazminda (Heft 2, Taf. VI), so wird man gewahr, mit welcher Freiheit und Meisterschaft hier das Motiv verschiedene Gestaltungen erhält. Tafel IV zeigt denselben Achalkalaki-Darbasi in seiner gegenwärtigen Ansicht, d. h. mit dem in flache Decke veränderten Kranzteil.

Die Zeichnungen auf Tafel V und VI geben einen Darbasi im Dorfe Metechi wieder, von Aussen mit der im Hintergrunde emporragenden mittelalterlichen Kirche und dann im Innern. Dieser Darbasi schliesst sich nicht der ebenbetrachteten Gruppe an, sondern der von Dihomi und Mzchetha, und dies sowohl was die Deckung, als auch den Charakter und die Motivbildung der Schnitzerei anbetrifft. Eigenartig ist das Motiv der Pfeilerschnitzerei und die Nischenformen der hinteren Wand, die sich von denen des Achalkalaki-Darbasi mit den persisch-tendierenden Formen scharf unterscheiden.

Ganz anders endlich mutet der Darbasi aus dem am anderen (linken) Ufer zwischen Bergen verloren gelegenen Dorfe mit Namen Nadarbasewi an, den die Tafeln VII und VIII vorführen. Hier sollen noch vor 4-5 Jahren über zehn Stück Darbasi aufrecht gestanden haben, von denen während unseren Besuches im Oktober 1925 mit Mühe nur der einzige aufzufinden war, dessen Besitzer — der Aussage anderer Dorfbewohner gemäss — zu arm sei, um ihn umbauen zu können. Die Deckung ist von der einfachen Art, wie in Dihomi, und die Schnitzerei mittelmässig und in losen Elementen, ohne kompositionellem Zusammenhange ausgeführt. Im Aufbau ist die Wandbehandlung zu beachten: die Wandflächen sind in der Erde ausgegraben und dann mit Lehm bedeckt, die Deckung aber ist auf groben Baumstämmen, die an den Wänden aufgestellt sind und die seitlichen Grundbalken unterstützen, errichtet. Ein System von Nischenfächern fehlt natürlich, — sie sind zufällig ausgeschnitten. Es hat sich hier im entlegenen Dorfe auch eine charakteristische Einrichtung des Herdes erhalten, die dann nochmals im intakten Zustande in einem Nachbardorfe Nigosa angetroffen wurde. Im letzten ist der Herd, in der Mitte unter der Kranzöffnung gelegen, durch zwei aufrecht gestellte Steine begrenzt, die gegenüber dem Eingange sich befinden und lange brennende Baumstümpfe und Äste im Zentrum zusammenhalten sollten. Im Grundriss (Taf.

ლოებით. ტაბულა VII-ზე გეგმაში ნაჩვენებია ერთი ასეთი შენახული ქვა; ნადარბაზევის დარბაზის პატრონებმა გვიამბეს, რომ კერას ოთხი ასეთი მაღალი ქვა ჰქონდაო; ისინი ფორმას აძლევდნენ კერის დიდ ცეცხლს, რომლის ზემოთ ჰკიდია ჯაჭვზე კერძის ქვაბი.

ესაა ეხლა მოხსენებულ სოფელ ნიგოზაში შენახულია დარბაზები, რომლების ჩუქურთმა შესრულების ხასიათით ძლიერ უახლოვდება მცხეთის დარბაზის ჩუქურთმას, რომელიც ნაჩვენებია მე-4 რვეულში. მაგრამ დანარჩენში ესენი ისეთივე ტლანქი და კოპიტებია და იმავ ნაირსახეობისაა, როგორც ნადარბაზევში. მათ განსხვავებას შეადგენს მხოლოდ დედაბოძების რაოდენობა; ასე, ჩარაშვილის ოჯახის დარბაზში, რომელიც აუგია გლეხს თვაურს სოფ. წიფლი-წყაროდან (ქსნის ხეობა), სამი დედაბოძი დგას დიღმის დარბაზის სქემაზე; ხოლო 100 წლის წინად აშენებულ ბედოშვილის დარბაზში ოთხი დედა ბოძია გვირგვინის ძირითადი კვადრატის კუთხეებში, თითონ გვირგვინიც ოთხ-კიბურად ადის მაღლა.

VII) ist die Lage des einzig erhaltenen Steines markiert; die Besitzer des Nadarbasewi-Darbasi meinten, es wären ursprünglich vier solcher Steine, die dem «grossen Feuer» der Mitte Form und Grenzen angaben.

In dem erwähnten Dorfe Nigosa sind Darbasi erhalten, die in der Schnitzerei denen in Mzcheтha nahe kommen, die Heft 4 vorführen wird. Im übrigen sind sie ebenfalls ganz einfach und roh, wie in Nadarbasewi, und derselben Unterart. Ein Unterschied besteht nur in der Anzahl von Pfeilern. So stehen in dem Hause der Brüder Tscharaschwili, das von einem gewissen Thwauri aus dem Dorfe Ziphli-Zkaro geschnitzt und gebaut wurde, drei Pfeiler, was dem in Dihomi bereits mitgeteilten Schema entspricht; und in dem vor etwa 100 Jahren erbauten Darbasi der Familie Bedoschwili sind ihrer vier in den Ecken des Grundquadrates unter dem im Viereck steigenden Kranze.



## ტაბულების ახსნა.

I. გეგმა დარბაზისა სოფ. ყარალაჯში—გაზომილია და შესრულებულია ნიკ. სევეროვის მიერ.

II. განაკვეთი იმავე დარბაზისა—ნიკ. სევეროვისა.

III. დედა-ბოძი სოფ. ახალქალაქის დარბაზში—ნიკ. სევეროვისა.

IV. შინაგანი სურათი იმავე დარბაზისა—იოს. შარლემანის ნახატი.

V. დარბაზი სოფ. მეტეხში გარედან—იოს. შარლემანის ნახატი.

VI. შინაგანი სურათი იმავე დარბაზისა—ნიკ. სევეროვის ნახატი.

VII. გეგმა დარბაზისა სოფ. ნადარბაზევში—ნიკ. სევეროვისა.

VIII. განაკვეთი იმავე დარბაზისა—ნიკ. სევეროვისა.

## Verzeichnis der Tafeln

I. Grundriss des Darbasi im Dorfe Karagadschi. Aufnahme des Arhitekten N. Severov.

II. Schnitt desselben Darbasi. Von N. Severov.

III. Einzelaufnahme des Pfeilers in Achalkalaki. Von N. Severov.

IV. Innenansicht desselben umgebauten Darbasi in Achalkalaki. Zeichnung von J. Charlemagne.

V. Aussenansicht des Darbasi im Dorfe Metechi. Zeichnung von J. Charlemagne.

VI. Innenansicht desselben Darbasi in Metechi. Zeichnung von N. Severov.

VII. Grundriss des Darbasi im Dorfe Nadarbasewi. Aufnahme von N. Severov.

VIII. Schnitt desselben Darbasi. Von N. Severov.

ს. ს. მ. ჟ. ს. პოლიგრ. 1-ლი სტ. პლეხ. პრ. № 91. 20/VI-27. მთავ. № 861. შეკ. № 1020/6750. ტირ. 250

(I)

# ფარისხი ყარადაღში

## გეგმა




ხუროთმოძღვარი [signature] 1926 წ.


II
დარბაზი ყარაჯალი

**III**




## დედა-ბოძი ახალქალაქიდან

1926 წ.

IV



Ⓨ


J. Charlemagne 1927.

VI



(VII)

# ნაჭარმაგევი
## ფალავანდიშვილის - ფარმაგის
— ბანა —



1926 წ


VIII
ნადარბაზევი
ქათუნაშვილის დარბაზის
250 სმ
1926 წ